მატჩი ლენინგრადში

ლენინგრადი. ვ.ი. ლენინის სახელობის სტადიონი. 27 ოქტომბერი.

“ზენიტი” (ლენინგრადი) – “დინამო” (თბილისი) 1:0 (0:0).

“ზენიტი”: კუზნეცოვი, დავიდოვი, ლოხოვი, გოლუბევი, ბონდარენკო, დეგტიარევი, იაკიმცევი, რასპუტინი (ლაგოდა), რედკოუსი, მელნიკოვი, კლემენტიევი.

“დინამო”: გოგია, კოსტავა, სულაქველიძე, ჩივაძე, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი (დურდიაძე), ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: ე. შკლოვსკი (მოსკოვი).

დუბლიორები – 0:1.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ მატჩს თბილისის დინამოელთათვის. საკმარისი იყო მისი ფრედ დამთავრება და ისინი სსრ კავშირის ჩემპიონატის დამთავრებამდე 2 ტურით ადრე ხდებოდნენ ოქროს მედლების მფლობელები. მიზანი კონკრეტული და ნათელი იყო.

მაგრამ ზენიტელებმა თავიანთი მაყურებლის წინაშე ითამაშეს მაქსიმალური ენერგიით, ძალების სრული დაძაბვით და შეძლეს გამარჯვების მოპოვება ჩემპიონობის კანდიდატთან. გოლი, რომელმაც გადაწყვიტა მატჩის ბედი, გატანილი იქნა 58–ე წუთზე. მასპინძლებმა მარჯვენა ფრთაზე გაითამაშეს კომბინაცია, მელნიკოვმა მიაწოდა ცენტრში, რედკოუსმა ფეხებს ქვეშ გაატარა ბურთი და დავიდოვმა მოასწრო დარტყმა კარის შორეულ დაბალ კუთხეში – 1:0.

დარჩენილ დროში დინამოელები ბევრს უტევდნენ, “ზენიტის” კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ საპასუხო გოლის გატანა არ მოხერხდა.

“ლელო”, 29 ოქტომბერი, 1978 წ.